

**ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი პრობაციონერების
საჭიროებების კვლევა მათთან მომუშავე სპეციალისტებში
არსებული ბარიერებისა და ცვლილებების საჭიროების შესწავლა**

ანა მანდარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2020 წელი

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აწ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალებს, რომელიც სათანადო წესების შესაბამისად არ არის ციტირებული ჩემს ნაშრომში.

ანა მანდარია
30.06.2020

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში ცოტა კვლევაა ჩატარებული ნარკოტიკული დანაშაულისათვის გასამართლებულ პირობით მსჯავრდებულებში. არასაკმარისადაა შესწავლილი მათი საჭიროებები, პრობლემები და ამ სირთულეების გადაჭრის გზები. აგრეთვე ნაკლებად არის შესწავლილი საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების განახლება, დანაშაულის რეციდივის შემთხვევები, ნასამართლეობის სტატუსის გავლენა რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროცესზე.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი, პატიმრობის გამოცდილების მქონე პრობაციონერების საჭიროებების შესწავლა. ასევე რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში პრობლემური საკითხების გამოკვეთა და მათთან მომუშავე სპეციალისტების ხედვა სირთულეების გადაჭრის საკითხში. არსებული პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და შესაძლო გადაჭრის გზების შესწავლა.

კვლევის მეთოდი: კვლევა განხორციელდა თვისებრივი მიდგომით, ჩატარდა ინდივიდუალური, ჩალრმავებული ინტერვიუები. რესპოდენტთა ინტერვიუების ჩაწერა მიმდინარეობდა ციფრული ხმოვანი მოწყობილობის საშუალებით. მონაცემები დამუშავდა თვისებრივი მონაცემების ანალიზისათვის განკუთვნილი პროგრამა Nvivo11-ის მეშვეობით.

შედეგები: როგორც აღნიშნული კვლევიდან ჩანს, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მომხმარებელი პრობაციონერების დიდი ნაწილი აგრძელებს მოხმარებას. იქიდან გამომდინარე, რომ მოხმარება ქართული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა ხშირია დანაშაულის რეციდივიც და ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს აქვთ არაერთი ნასამართლეობა. გარდა ამისა გამოიკვეთა დასაქმების სირთულე, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქოლოგიური ხასიათის სირთულეები, მოტივაციის დაბალი დონე და უნდობლობა პრობაციის თანამშრომელთა მიმართ. ცვლილებების საჭიროებას სპეციალისტები ხედავენ მკაცრი, სასჯელზე ორიენტირებული მიდგომის ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომით შეცვლაში. ქალი მომხმარებლები თავს გრძნობენ საზოგადოებისაგან სტიგმატიზირებულად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი სამკურნალო სერვისების შესახებ .

დასკვნები: ქართული ნარკოკანონმდებლობა და ნარკოპოლიტიკა, რომელიც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას მკაცრი სანქციებით ცდილობს, ეფექტურად ვერ

ამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობასა და დანაშაულის რეციდივის მაჩვენებელს. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადით მოხდის შემდეგაც დამოკიდებულების მქონე პირთა ნაწილი ვერ ახერხებს მიაღწიოს სრულ რემისიასა და ნარკოტიკებისაგან თავისუფალ ცხოვრებას, აწყდებიან ბევრ პრობლემას.

საკვანძო სიტყვები: პრობაციონერი მომხმარებლები, მოხმარების რეციდივი, დანაშაულის რეციდივი, ცვლილებების საჭიროება, ნარკოპოლიტიკა.

Abstract

Introduction: In Georgia has been conducted scarcely any study or research among people who sentenced for drug crimes probationers and offenders. Insufficiently studied their needs, problems and ways to solve these difficulties. Furthermore, it has been improperly examined following aspects such as - renewal of the drug use after release from prison, prevalence of drug-involved offenders, criminal recidivism cases, influence of conviction status on the process of resocialization and reintegration in society.

Objectives of research: The research aims to study the needs of probationers, who are drug users and has been imprisoned. Also, to identify obstacles during resocialization-rehabilitation process and also, viewpoint of the specialists, who are working with them amid solving those difficulties. Moreover, to examine of existing problems, their causes and possible solutions.

Methodology: The research was conducted in the qualitative type - individual and in-depth interviews. Interviews were recorded using a digital voice device. The data was analyzed using the program “Nvivo11”, which is designed to analyze qualitative data.

Results: Based on the study, after release from the penitentiary institution, majority of the substance user probationers continue to use drugs. Due to the fact, that substance use is a punishable act under Georgian Law, facts of criminal recidivism are frequent. In addition, it appeared high employment difficulties, mental and physical health problems, psychological struggles, reduced level of motivation and distrust towards employees of probation. Specialists see necessity in modification of a strict, punitive approach to transition into care-oriented approaches. Female drug users feel stigmatized by society and are less informed about treatment services.

Conclusions: Georgian drug law and drug policy, which seeks to reduce substance use with strict and harsh sanctions, is not effective and cannot accomplish the main goal- reduce the number of drug users and crime recidivism. Even after a long period of imprisonment, majority of drug addicted people are incapable to achieve and manage full remission and a drug-free life.

Key words: drug user probationers, substance use recidivism, criminal recidivism, drug policy.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, დავით ოთიაშვილს, კვლევის თითოეულ ეტაპზე გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს ირმა კირთაძეს, კვლევის დამუშავებასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისათვის.

მადლობას ვუხდით პრობაციის ეროვნულ სააგენტოს წარმომადგენლებს, კვლევის ჩატარების ნებართვისათვის და ბიუროს სპეციალისტებს კვლევაში მონაწილეობისათვის, მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაციისა და დეტალური განმარტებებისათვის.

მადლობას ვუხდით იმ პირობით მსჯავრდებულებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე და გულწრფელად ისაუბრეს პრობლემებისა და მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.